

წინამდებარე „ოვერდრაფტით სარგებლობის ძირითადი პირობები“ წარმოადგენს ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული „ოვერდრაფტით სარგებლობის შესახებ“ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

## 1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **საბარათე ანგარიში** - ბანკში გახსნილი კლიენტის ანგარიში, რომელზეც დაიშვება ოვერდრაფტი [შემდგომ „ოვერდრაფტი“] და აისახება ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო საგადახდო ბარათით [შემდგომ „ბარათი“] შესრულებული ოპერაციები.
- 1.2. **გახარჯული ოვერდრაფტი** - დაშვებული ოვერდრაფტის საფუძველზე კლიენტის მიერ მიღებული/გადახდილი თანხები და შესაბამისი საკომისიო [განაღების და ა.შ.]. ამასთან, მხარეებისათვის ცნობილია, რომ განაღების საკომისიოს გათვალისწინებით, გახარჯული ოვერდრაფტი შეიძლება აღემატებოდეს დაშვებული ოვერდრაფტის ოდენობას.
- 1.3. **წლიური საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი** - განისაზღვრება კლიენტის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით და არის გახარჯულ ოვერდრაფტზე დარიცხული პროცენტი, რომელიც გამოითვლება ოვერდრაფტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, 365 კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.
- 1.4. **მინიმალური გადასახადი** - ოვერდრაფტით სარგებლობისას კლიენტის მიერ გადახდის თარიღამდე გადასახდელი თანხის ოდენობა, რომელიც შეადგენს დაშვებული ოვერდრაფტის ფარგლებში, ბილინგის დღისათვის გახარჯული ოვერდრაფტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტულ ოდენობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს და პირგასამტეხლოს [მისი არსებობის შემთხვევაში]. ამასთან, თუ გახარჯული ოვერდრაფტი აღემატება დაშვებულ ოვერდრაფტს, მინიმალური გადასახდელი სრულად მოიცავს მათ შორის სხვაობას.
- 1.5. **გადახდის თარიღი** - ბილინგის დღიდან 27-ე დღე. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდის თარიღად მიიჩნევა შემდეგი სამუშაო დღე.
- 1.6. **ბილინგის დღე** - განისაზღვრება მსესხებლის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით ან განაცხადით.
- 1.7. **ვადაგადაცილება** - გარემოება, როცა მინიმალური გადასახადი გადახდილი არ იქნება გადახდის თარიღის 22 საათამდე.
- 1.8. **სამუშაო დღე** - წლის ნებისმიერი კალენდარული დღე, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეებისა.
- 1.9. **ვადაგადაცილებული დავალიანება** - კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული წინამდებარე პირობით გათვალისწინებული წესით და ვადებში.
- 1.10. **ბარათის ბლოკირება** - კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევისათვის საბარათე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების დროებით შეჩერება [ბარათი თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში].

## 2. ოვერდრაფტის დაფარვის წესი

- 2.1. მინიმალური გადასახადის ყოველთვიურად დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღამდე<sup>1</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გადახდა.
- 2.2. თუ კლიენტი შემოიტანს/ჩარიცხავს თანხას საბარათე ანგარიშზე და იმ მომენტისათვის მას გააჩნია დავალიანება [დარიცხული საპროცენტო სარგებელი ან/და პირგასამტეხლო], ბანკი უფლებამოსილია,

<sup>1</sup>თუ გახარჯული ოვერდრაფტი აღემატება დაშვებულ ოვერდრაფტს, მათ შორის სხვაობის დაფარვის ვალდებულება კლიენტს ეკისრება სხვაობის წარმოშობისთანავე და მისი გადახდის ვალდებულება არ გადავადდება გადახდის თარიღამდე.

რომ შემოტანილი/ჩარიცხული თანხები მიმართოს დავალიანების დასაფარად, მიუხედავად იმისა, მოსულია თუ არა გადახდის თარიღი.

- 2.3. დავალიანების დაფარვისას პირველ რიგში იფარება დაშვებულ და გახარჯულ ოვერდრაფტს შორის არსებულ სხვაობაზე დარიცხული პირგასამტეხლო, შემდეგ დაშვებულ და გახარჯულ ოვერდრაფტს შორის არსებული სხვაობა [მათი არსებობის შემთხვევაში], შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო, საპროცენტო სარგებელი და ბოლოს გახარჯული ოვერდრაფტი. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.
- 2.4. დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან:
  - 2.4.1 კლიენტი ვალდებულია, რომ გადახდის თარიღისათვის საბარათე ანგარიშზე მინიმუმ იქონიოს მინიმალური გადასახადის დასაფარად საჭირო თანხები.
  - 2.4.2 თუ გადახდის თარიღისათვის საბარათე ანგარიშზე არ არის მინიმალური გადასახადის დასაფარად საკმარისი სახსრები, ბანკი უფლებამოსილია [და არა ვალდებული], რომ გადახდის დღეს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან [მათ შორის სადეპოზიტო] ჩამოწეროს წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანება 2.3 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
  - 2.4.3 ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის ვადაგადაცილებული დავალიანება ჩამოწეროს კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან [მათ შორის სადეპოზიტო], 2.3 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
  - 2.4.4 დავალიანების დასაფარად არ შეიძლება იყოს გამოყენებული შესაბამის ანგარიშზე არსებული ის სახსრები, რომლებიც თავად წარმოადგენენ რაიმე სახის საკრედიტო ლიმიტს. აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკის უფლებას, რომ კლიენტის დავალიანების დასაფარად გამოიყენოს კლიენტის სხვა ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები.

### 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები

- 3.1. ბანკი უფლებამოსილია:
  - 3.1.1. კლიენტის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ოვერდრაფტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
  - 3.1.2. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ან/და ბარათით მომსახურების ტარიფების განაკვეთები ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები და განათავსოს ისინი შეცვლილი სახით ბანკის ვებ გვერდზე, ან სხვა, ბანკისათვის მისაღები ფორმით [მათ შორის ინტერნეტ ბანკი] აცნობოს კლიენტს. ბანკი საპროცენტო სარგებლის ცვლილების შესახებ შეტყობინებას კლიენტს უგზავნის წერილობით ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახით, ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.
  - 3.1.3. ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს ოვერდრაფტი და კლიენტისაგან დაუყოვნებლივ მოითხოვოს გახარჯული ოვერდრაფტის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსა და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:
    - 3.1.3.1 გადახდის თარიღიდან 45 დღის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში.

- 3.1.3.2 გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე.
- 3.1.3.3 კლიენტი აღარ იღებს კუთვნილ შრომით თუ სხვა პერიოდულ ანაზღაურებას ბანკში გახსნილი საბარათე ანგარიშის მეშვეობით.
- 3.1.3.4 კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისკენ.
- 3.1.3.5 კლიენტი არ მოახდენს ოვერდრაფტის უზრუნველყოფას [იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა] ბანკის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.
- 3.1.4. თუ ბანკი ცალმხრივად შეწყვეტს ოვერდრაფტით მომსახურებას, ბანკის მიერ პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება ოვერდრაფტის გაუქმების შემდეგ დარჩენილ დავალიანებაზე.
- 3.1.5. გააუქმოს ოვერდრაფტი, თუ კლიენტმა 6 თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული ოვერდრაფტით.
- 3.1.6. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის [ძირითადი, დამატებითი] ბლოკირება, კლიენტს ეკისრება ბარათის ბლოკირების საკომისიო [ასეთი არსებობის შემთხვევაში]. ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრული დაფარვისთანავე.
- 3.1.7. უარი განაცხადოს ოვერდრაფტის დაშვების ან/და გაზრდის შესახებ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დააკმაყოფილოს მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით.
- 3.1.8. თუ შეიცვლება კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი საბარათე ანგარიში, რომელზედაც კლიენტი იღებს შრომით თუ სხვა პერიოდულ ანაზღაურებას, კლიენტის დამატებითი ინფორმირების გარეშე ბანკი უფლებამოსილია ოვერდრაფტით განსაზღვრული ლიმიტი გადაიტანოს იმ საბარათე ანგარიშზე, რომელზედაც კლიენტი იღებს შრომით თუ სხვა პერიოდულ ანაზღაურებას.
- 3.1.9. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ოვერდრაფტის ლიმიტის გაზრდის შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. კლიენტის მიერ გაზრდილი ოვერდრაფტით სარგებლობის შემდეგ ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება ბანკის მიერ ოვერდრაფტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას.
- 3.1.10. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ოვერდრაფტის ლიმიტის შემცირების შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. შეტყობინების შემდეგ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები მიმართოს ოვერდრაფტის ლიმიტის შესამცირებლად.
- 3.2. ოვერდრაფტით სარგებლობა ასევე წყდება ოვერდრაფტით სარგებლობის ვადის დამთავრების თარიღის შემდეგ, თუ არ მოხდება სარგებლობის ვადის გაგრძელება.
- 3.3. კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.
- 3.4. ბანკი ვალდებულია არაუგვიანეს ბილინგის დღის მომდევნო 5 საბანკო დღის ვადაში კლიენტს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აცნობოს მინიმალური გადასახადის ოდენობა.
- 3.5. ბანკის ყველა უფლება გულისხმობს კლიენტის შესაბამის ვალდებულებას.
- 3.6. კლიენტის მიერ დამატებითი ბარათის დამზადების შემთხვევაში დამატებითი ბარათის მფლობელს მიეცემა უფლება ისარგებლოს კლიენტის საბარათე ანგარიშით, ამავე ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფტის ფარგლებში. დამატებით ბარათზე სრულად ვრცელდება ძირითადი ბარათით მომსახურების პირობები.
- 3.7. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე კლიენტი [ძირითადი ბარათის მფლობელი] პასუხს აგებს სრულად.

#### 4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს კლიენტს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი [კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით] კლიენტის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებულ მისამართზე ან კლიენტის იმ მისამართზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს კლიენტის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს კლიენტის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად.
- 4.2. შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:
- 4.2.1. პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის კლიენტისათვის ჩაბარების დღეს.
- 4.2.2. კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან კლიენტისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- 4.2.3. ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან [მისამართიდან] ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- 4.2.4. ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.
- 4.3. ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი კლიენტზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე კლიენტის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან კლიენტი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა ხელშეკრულებაში მითითებული კლიენტის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც. ბანკი არ არის ვალდებული წერილობით შეატყობინოს კლიენტს მისამართის შეცვლის ფაქტი, რადგან კლიენტისათვის ცნობილია, რომ სს “ვითიბი ბანკ ჯორჯიას” სათავო დაწესებულებისა და მისი ფილიალების/სერვის ცენტრების მისამართები ასახულია შემდეგ ვებ-გვერდზე-[www.vtb.ge](http://www.vtb.ge).
- 4.4. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.